



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #098/17¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ანა ქურდაძე (სტუდენტი)

საქმის ფაქტები

ადვოკატსა და კლიენტს შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ადვოკატს უნდა დაეცვა კლიენტის ინტერესები ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში უძრავი ქონების დაკანონებასთან დაკავშირებით. წინასწარ განისაზღვრა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი 1000 აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც კლიენტმა გადასცა ადვოკატს. ადვოკატმა კლიენტს მოსთხოვა ისე ხარჯისათვის 200 აშშ დოლარი, მაგრამ კლიენტისაგან სანაცვლოდ მიიღო 300 ლარი. ადვოკატს საქმესთან დაკავშირებული ხარჯის შესახებ წინასწარი ინფორმაცია არ მიუწოდებია კლიენტისათვის და არც კლიენტის მიერ მინდობილი ხარჯების ხარტალრიცხვა არ უწარმოებია. ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად მოამზადა სხვადასხვა სახის საჭირო დოკუმენტი, რომელიც მისი აზრით საჭირო იყო უძრავი ქონების დანაწონებასთან დაკავშირებით. კლიენტისათვის მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ მის ძმას სხვა ადვოკატისათვის ჰქონდა მიმართული მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებით. კლიენტმა ადვოკატს მოსთხოვა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების გაუქმება და გადაცემული ჰონორარის უკან დაბრუნება. ადვოკატმა უარი განაცხადა თანხის დაბრუნებაზე. კლიენტმა რამდენჯერმე სცადა ადვოკატთან დაკავშირება, მაგრამ ადვოკატი თავს არიდებდა მასთან კავშირს და მოკლე ტექსტურ შეტყობინებებზე პასუხს არ სცემდა.

პროცესუალური ისტორია

საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ვინაიდან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა იქამდე დასრულდა ვიდრე ადვოკატი შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებას მთლიანად შეასრულებდა, ადვოკატს კლიენტისთვის უნდა დაებრუნებინა გაწეული მომსახურების საფასურის და საადვოკატო ხარჯების გამოქვითვით მიღებული ჰონორარის ნაწილი. ვინაიდან ვერ დადგინდა ადვოკატის მიერ კლიენტისთვის მიღებული ჰონორარის ნაწილის დაბრუნება, ადვოკატმა შესაძლოა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი ამ ნაწილზე დაყრდნობით დაიწყო დევნა.

სამართლებრივი შეფასება

კლიენტისთვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის აღრიცხვას და შესაბამისი მტკიცებულებების შექმნას.. აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება კლიენტის მოთხოვნისთანავე ანგარიშგების მოწესრიგებული სახით მიწოდების ვალდებულებას.

მოცემულ საქმეში ადვოკატმა კლიენტის მიერ ხარჯის სახით გადაცემული თანხა არ განათავსა ცალკე, მისი ფულადი სახსრებისაგან დამოუკიდებლად. ადვოკატის შესაძლო ფულადი

¹ <https://www.gba.ge/pdf/5c4c523d4574c.pdf/5c4c523d4574c.pdf>

ვალდებულებები არ უნდა გავრცელდეს კლიენტის მიხედვით თანხებზე, რადგან კლიენტის მიერ მიხედვით თანხები წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას და მხოლოდ საქმიდან გამომდინარე შეიძლება მისი განკარგვა, რასაც აუცილებლად თან უნდა სდევდეს სათანადო მტკიცებულებებით გამყარებული ხარჯთაღრიცხვა, მოცემულ საქმეში ადვოკატს არ უწარმოებია კლიენტის მიერ მიხედვით თანხების ხარჯთაღრიცხვა.

კლიენტს წინასწარ უნდა მიეცეს საშუალება მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება მისი საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ. მოცემულ საქმეში ადვოკატმა კლიენტს წინასწარ არ მიაწოდა ინფორმაცია საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ, კლიენტს არ მიეცა შესაძლებლობა მიეღო ინფორმირებული გადაწყვეტილება მისი საქმის სამართლებრივი ბედის შესახებ.

კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს.

დასკვნა

სადისციპლინო კოლეგიაში დისციპლინური საქმის განხილვისას ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურდა, რომ ადვოკატის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა და ადვოკატს აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-6, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილების დარღვევისთვის დაეკისრა გაფრთხილება.